ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS


2954-05-2-202205051528
https://edocument.ge/AdjaraGov/public

N 05/2954
05/05/2022

**Factcheck-ის რეგიონულ ანალიტიკოსს**
**ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს**

**ქალბატონო ნაზიბროლა,**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2022 წლის 26 აპრილს (N12297/05) შემოსული თქვენი განცხადების საფუძველზე, ელექტრონულად (editorrekhviashvili@gmail.com) მოგაწვდით ინფორმაციას:

2020 წელს სამინისტროს ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში 60 ეკომიგრანტ ოჯახს გაეწია ფინანსური მხრადაჭერა უსაფრთხო საცხოვრისით შეძენის მიზნით (თითეულ დაზარალებულს 25 000 – 25 000 ლარის ოდენობით).
ამათგან:

✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 4 დაზარალებულიდან: 2 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში; 2 ბენეფიციარმა - ქ. ბათუმში.

✓ ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 დაზარალებულიდან: 1 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქედის მუნიციპალიტეტში; 1 ბენეფიციარმა - შუახევის მუნიციპალიტეტში; 3 - ქ.ბათუმში.

✓ შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 7 დაზარალებულიდან: 1 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში; 5- ბენეფიციარმა -ქ. თბილისში;

✓ ხულოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 44 დაზარალებულიდან: 1 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, 1- ბენეფიციარმა ხელვაჩაურის, 2 ბენეფიციარმა - ლანჩხუთის, 3 ბენეფიციარმა ხულოს, 4 ბენეფიციარმა-ქობულეთის, 2 ბენეფიციარმა წალკის, ხოლო 4 ბენეფიციარმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში. დანარჩენმა 17 ბენეფიციარმა ქ. ბათუმში.

2021 წელს სამინისტროს ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში 50 ეკომიგრანტ ოჯახს გაეწია ფინანსური მხრადაჭერა უსაფრთხო საცხოვრისით შეძენის მიზნით (თითეულ დაზარალებულს 25 000 – 25 000 ლარის ოდენობით).
ამათგან:

✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 3 დაზარალებულიდან: 2 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქ. ბათუმში; 1 ბენეფიციარმა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.


6010 ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქ №119
№119 acad. Mamia Komakhidze str. BATUMI
ტელ.\ფაქსი: (0-422) 24-79-71
tel . (0-422) 24-79-02

✓ ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 3 დაზარალებულიდან: 1 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქედის მუნიციპალიტეტში; 2 - ქ.ბათუმში.
✓ შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 14 დაზარალებულიდან: 7 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქალაქ ბათუმში. 1- ბენეფიციარმა - შუახევის, 1 ბენეფიციარმა- ლანჩხუთის, 1-ბენეფიციარმა - ქობულეთის, ხოლო 4 ბენეფიციარმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.
✓ ხულოს მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 30 დაზარალებულიდან: 19 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქ. ბათუმში; 1 წალკის მუნიციპალიტეტში, 1- ბენეფიციარმა ხელვაჩაურის, 2 ბენეფიციარმა ხულოს, 3 ბენეფიციარმა-ქობულეთის, ხოლო 4 ბენეფიციარმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში.

2022 წელს სამინისტროს ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამით კომისიის გადაწყვეტილებით ისარგებლა 40 ეკომიგრანტმა ოჯახი. ამათგან, 20 უკვე გაუფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შედეგად თითოეულ ოჯახს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა 30 000 ლარის ოდენობით, ხოლო 20 ოჯახს წარმოდგენილი აქვს უძრავი ქონების რეკვიზიტები შესასყიდად და უახლოეს პერიოდში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად გაეწევათ ფინანსური მხარდაჭერა, თითოეულს 30 000 ლარის ოდენობით.

ამათგან:

✓ ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 4 დაზარალებულიდან: 1 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი უკვე შეისყიდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში; 1 - ქ.ბათუმში. შესყიდვის პროცესშია 2 ბენეფიციარი, რომლებიც, საცხოვრის იძენენ ქ. ბათუმში.
✓ შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 13 დაზარალებულიდან: 5 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქალაქ ბათუმში. 1- ბენეფიციარმა - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. შესყიდვის პროცესშია 7 ბენეფიციარი, რომლებიც საცხოვრის იძენენ ხელვაჩაურისა და ბათუმის მუნიციპალიტეტებში.
✓ ხულოს მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 23 დაზარალებულიდან: 8 ბენეფიციარმა უსაფრთხო საცხოვრისი შეისყიდა ქ. ბათუმში; 1 ბენეფიციარმა - ლანჩხუთის, 1 ბენეფიციარმა - ქობულეთის, 1 ბენეფიციარმა ხულოს, 1 ბენეფიციარმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში. შესყიდვის პროცესშია 15 ბენეფიციარი, რომლებიც, საცხოვრის იძენენ ნინოწმინდის, ხულოს, ხელვაჩაურისა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტებში.

აქვე გაცნობებთ, რომ შესაბამისი გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე, დაზარალებულები მიმართავენ იუსტიციის სახლს და რეგისტრირდებიან ,,ეკომიგრანტთა ერთიან ელექტრონულ სიაში“. ბაზაში კონკრეტული პროცედურების გავლის (კატეგორიათა და სოციალური ქულათა ჯამი) შემდგომ, ოჯახებს ენიჭებათ პრიორიტეტულობის ქულა, რითაც განისაზღვრება რიგითობა. სამინისტროს მიერ, პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში, ყოველწლიურად ხდება მაღალი პრიორიტეტულობის მქონე დაზარალებულთა მონაცემების გამოთხოვა. წელს გათვალისწინებულია 150-მდე ოჯახი. წლის ბოლომდე სამინისტრო გეგმავს დააკმაყოფილოს ასამდე ეკომიგრანტი ოჯახი.

**პატივისცემით,**

ანა მელაშვილი

საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტი